



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს
გენერალური დირექტორი

№ 2/336

ქ. თბილისი

11 თებერვალი 2016 წ.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული
სააგენტოს გენერალური დირექტორის 2016 წლის 15 სექტემბრის
№ 2/297 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 60-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. „კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე“ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2016 წლის 15 სექტემბრის № 2/297 ბრძანებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების დანართის რიგითი ნომერი 2 - „უშაკოვის აგარაკი“-ს სახელწოდება შეიცვალოს შემდეგი რედაქციით „ყოფ. უშაკოვის აგარაკი“ და ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

ბ) ბრძანების დანართის რიგითი ნომერი 4 - „პომორსკის აგარაკი“-ს სახელწოდება შეიცვალოს შემდეგი რედაქციით „ყოფ. პომორსკის აგარაკი“, ხოლო მისამართი შეიცვალოს შემდეგი რედაქციით „ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ციხისძირი“ და ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

გ) ბრძანების დანართის რიგითი ნომერი 5 „ლაო ჯინ ჯაოს საცხოვრებელი სახლი“-ს სახელწოდება შეიცვალოს შემდეგი რედაქციით: „ყოფ. ლაო ჯინ ჯაოს საცხოვრებელი სახლი“, ხოლო მისამართი შეიცვალოს შემდეგი რედაქციით „ქობულეთის მუნიციპალიტეტი, დაბა. ჩაქვი“ და ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

დ) ბრძანების დანართის რიგითი ნომერი 7 - „ზალენსკის აგარაკი“-ს სახელწოდება შეიცვალოს შემდეგი რედაქციით „ყოფ. ზალენსკის აგარაკი“ და ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურს ამ ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში ასახვა.



3. დაევალოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებ გვერდზე გამოქვეყნების მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების უზრუნველყოფა.

4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.




ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა N4).

გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი



დ. ლომიტაშვილი



N	ფოტო	სახელწოდება	ადგილმდებარეობა	სახეობა	თარიღი
2.		<p>ყოფ. უშაკოვის აგარაკი</p>	<p>ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ციხისძირი</p>	<p>არქიტექტურის</p>	<p>XX ს-ის დასაწყისი</p>
4.		<p>ყოფ. პომორსკის აგარაკი</p>	<p>ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ციხისძირი</p>	<p>არქიტექტურის</p>	<p>XX ს-ის დასაწყისი</p>
5		<p>ყოფ. ლაო ჯინ ჯაოს საცხოვრებელი სახლი</p>	<p>ქობულეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ჩაქვი</p>	<p>არქიტექტურის</p>	<p>XIX ს-ის დასასრული</p>
7.		<p>ყოფ. ზალენსკის აგარაკი</p>	<p>ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ციხისძირი</p>	<p>არქიტექტურის</p>	<p>XIX ს-ის დასასრული</p>